ჩემს დებს

მაშოს და ზოზიას

მივყვები ისევ ფიქრების შრიალს,
ძვირფასო დებო! მე ვიტანჯები.
არ ვიცი, რა ვქნა, მე ციხეში ვარ,
ირგვლივ მარტყია რკინის ფანჯრები.

ქარი ეწვია ჩინარს და ნაძვებს
და ქრება დღენი ჩემი ცხოვრების.
არავინ არ მყავს ამ ქვეყანაზე,
მე თქვენ ყოველთვის მემახსოვრებით.

მზე დაემსგავსა გუშინ ობობას
და გული მოკლეს ღამის ჩრდილებმა.
თუ იცით ჩემი ავადმყოფობა?
თუ იცით ჩემი დაპატიმრება?

და წუხელ თვალი ისევ ტიროდა
 და ახლა ფიქრი ნელა ირხევა.
ეს ციხე ჩემთვის რა საჭიროა,
როდესაც მიწა ჩემთვის ციხეა.

მივყვები სადღაც ფიქრების შრიალს,
ძვირფასო დებო! მე ვიტანჯები.
არ ვიცი, რა ვქნა, მე ციხეში ვარ,
ირგვლივ მარტყია რკინის ფანჯრები.